სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პირველკურსელთა კვლევა 2024-2025 სასწავლო წელი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების მიერ ჩატარდა პირველკურსელთა კვლევა ინსტიტუციური, რესურსებით, სტუდენტთა მხარდამჭერი მექანიზმებისა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებების ინფორმირებულობისა და კმაყოფილების შესახებ, პირველი შთაბეჭდილება და მოლოდინები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ემზადება პირველკურსელებთან შესახვედრად. კერძოდ, ხდება პირველი სასწავლო კვირისთვის დღის წესრიგის შემუშავება, რომელშიც პირველი ხუთი დღის განმალობაში გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობა: საინფორმაციო, შემეცნებითი, საკონსულტაციო (მხარდამჭერი ღონისძიებების), გასართობი და სხვ. უნივერსიტეტის თითოეული რგოლის ფუნქცია-მოვალეობის გაცნობა სტუდენტებისათვის, რათა სტუდენტი სწრაფად ადაპტირდეს ახალ გარემოში და სწავლა-განათლებაზე იყოს ორიენტირებული.

კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ კითხვარი, რომელიც შედგებოდა ქვემოთ მოცემული კითხვებისგან, მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ინფორმაციას. გამოკითხვა ატარებდა ანონიმურ ხასიათს და იყო ნებაყოფლობითი.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, სულ 69 სტუდენტმა.

შენიშვნა: რესპოდენტს შეეძლო ერთდროულად რამდენიმე მისთვის მისაღები პასუხი მონიშვნა. ამიტომ შედეგების პროცენტული მაჩვენებელი ჯამურად შესაძლებელია, ხშირ შემთხვევაში, 100%-ზე მეტი აღმოჩნდეს.

პირველკურსელთა კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა მიიღო 69 რესპოდენტმა, ხოლო მონაწილეთა საერთო რაოდენობა ფაკულტეტების შესაბამისად პროცენტულად ასე გადანაწილდა:

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 8,2 %;

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 45,9 %;
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი - 39,2%;
იურიდიული ფაკულტეტი - 6%.

1. **რომელი საშუალებებით მოიპოვეთ ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ?**

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით, პასუხობს გამოკითხულთა 51,1%;
- ინტერნეტის საშუალებით, პასუხობს გამოკითხულთა 11,1%;
- ახლობლების საშუალებით, პასუხობს გამოკითხულთა 37,8%;.
- სხვ. პასუხობს გამოკითხულთა 6%

---

2. **რატომ აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი?**

(მონიშნეთ თქვენთვის სასურველი რამდენიმე პასუხი ან დააფიქსირეთ თქვენი სხვა მოსაზრება)

- ხელმისწავდომია ტერიტორიულად პასუხობს გამოკითხულთა 31,1%;
- გამოირჩევა სწავლების მაღალი ხარისხით პასუხობს გამოკითხულთა 37,8%;
- აქვს სპეციალობების ფართო არჩევანი პასუხობს გამოკითხულთა 8,5%;
- აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო, პასუხობს გამოკითხულთა 8,5%;
- პრესტიჟულია, პასუხობს გამოკითხულთა 11,1%;
- აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, პერსპექტიულია...3%.

3. **როგორ აფასებთ უნივერსიტეტში შექმნილ ატმოსფეროს** (პირველი შთაბეჭდილება)**?**

რა მოგეწონათ? შეცვლიდით?

- ჩემთვის ძალიან კარგია, იმიტომ რომ ჩემი ოცნება იყო აქ სწავლა.ახლა ვსწავლობ და ჩემთვის აქ ძალიან სასიამოვნოა, განათლებაც ჩემთვის მიღებულია...
- კარგია
- პირველი შთაბეჭდილება როგორიც იყო იმაზე მეტად ვარ კმაყოფილი) მომეწონა რექტორების დამოკიდებულება თუმცა უფრო მეტი ხელშეწყობა რომ იყოს ზოგიერთი რექტორის მხრიდან იმ სტუდენტებზე რომლებიც მუშაობენ და ვერ ახერხებენ ამის გამო სიარულს მაქსიმალურად კარგი იქნებდოდა) შევცვლიდი რა მეორე კორპუსში ბუფეტს დავამატებდი)
- მომეწონა პირველკურსელების დახვედრა და გარემოს გაცნობა. კორპუსი პატარა, მაგრამ ძალიან კომფორტულია.
- მომეწონა ლექტორები და გარემო
- ჩემთვის მისაღებია უნივერსიტეტში შექმნილი ატმოსფერო ლექტორები და სტუდენტები ძალიან კარგი ადამიანები არიან და ატმოსფერა კარგია.
- აქ ლექტორებიც და სტუდენტებიც კარგი ხალხია და აქ ყოველთვის მხიარული ატმოსფეროა მოგწონს უნივერსიტეტის ლექტორები და მაღალი ხარისხი
- მომწონს უნივერსიტეტის განათლების მაღალი ხარისხი და ლექტორები

- ჩვენს უნივერსიტეტში ყველაფერი კარგად არის.
- მომწონს უნივერსიტეტის განათლების ხარისხი მომეწონა განათლება, ლექტორები
- მოგწონთ ყველაფერი უნივერსიტეტში გარემო სწავლა და ა.წ არ მოგეწინა ის რომ მარტო ორი პროფესია არის უნივერსიტეტში
- ჩემთვის ძალიან კარგია ,იმიტომ რომ ჩემი ოცნება იყო აქ სწავლა.
- ამჟამად სწვლობს და ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, და განათლება ჩემთვის მიღებულია.
- ჩემთვის ძალიან კარგია, იმიტომ რომ ჩემი ოცნება იყო აქ სწავლა.
- ამჟამად სწვლობს და ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, და განათლება ჩემთვის მიუღებელია.
- მომეწონა ატმოსფერო და კარგი სწავლის ფორმაა
- ყველაფერი. არაფერს
- მომეწონა მაღალი ცოდნის მქონე ლექტორები, რომლებიც მაქსიმალირად გვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას
- მომეწონა სწავლების ფორმა
- იდიალურია ყველაფერი ზედმეტად კარგია
- მომეწონა სწავლის ფორმა
- სტუდენტებზე მორგებული
- ყველა კარგია;
- მე მომწონს დამოკიდებულება ლექტორების სტუდენტებისადმი
- კარგი გარემო
- დადებითი შთაბეჭდილება
- ყველაფერი
- შესანიშნავი ატმოსფეროა .
- კეთილგანწყობილი გარემო
- ჩემი მოლოდინს გადააჭარბა მომეწონა გარემო, გახსნილი ატმოსფერო
- მეგობრული გარემო

4. ფაკულტეტის დეკანმა და/ან პროგრამის ხელმძღვანელმა გაგაცნეს თქვენს მიერ არჩეული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზანი და სწავლის შედეგები?

- დიახ უპასუხა რესპოდენტთა 94,8%;
- ნაწილობრივ უპასუხა რესპოდენტთა 5,2%;
- არა

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა გაგაცნოთ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები: აკადემიური კალენდარი, სასწავლო კურსი, სილაბუსი, კრედიტი, შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები?

- სრულიად ვეთანხმები - 86,7%;

- მეტწილად ვეთანხმები - 10,3%
- ნაწილობრივ ვეთანხმები 3%;
- არ ვეთანხმები - 0% ;

6. უნივერსიტეტში გაგაცნეს თუ არა სტუდენტთა ეთიკის კოდექსი?

- სრულიად ვეთანხმები - 68.9%;
- მეტწილად ვეთანხმები - 24,4%
- ნაწილობრივ ვეთანხმები - 6%;
- არ ვეთანხმები - 0,7%

7. გაეცანით თუ არა უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას?

- სრულიად ვეთანხმები - 73,3%;
- მეტწილად ვეთანხმები - 6,7%
- ნაწილობრივ ვეთანხმები - 20%;
- არ ვეთანხმები - 0,7%

8. გაეცანით თუ არა იმ პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას:

- სრულიად ვეთანხმები - 71,1%;
- მეტწილად ვეთანხმები - 17,8%
- ნაწილობრივ ვეთანხმები - 11,1%;
- არ ვეთანხმები - 0%

9. დაასახელეთ წყარო, რომლის საშუალებითაც მიიღეთ ინფორმაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით გადადგმული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ა) ადმინისტრაციული პერსონალი, უპასუხა 31,1%,
ბ) უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალური ვებ- გვერდი 33,3%,
გ) სტუდენტები 11,1%,
დ) აკადემიური პერსონალი 4,5%,
ე) ფაკულტეტის დეკანატი 20%.

10. დაასახელეთ ქვეყანა, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე უფრო მეტად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით აქტიურ თანამშრომლობას 2020 – 2021 სასწავლო წლის განმავლობაში?

- პოლონეთი 6%;
- თურქეთი - 3%';
- დიდი ბრიტანეთი - 3%
- კანადა - 8,5%
- გერმანია - 53,3%

- ჩეხეთის რესპუბლიკა - 26,7%;
- სხვ. მოხაზა - 1,5%

11. პირველი კვირის შთაბეჭდილება და თქვენი მოლოდინი:

- ძალიან საინტერესო და სასიამოვნო გარემო იყო როგორც ახლა და იმედი მაქვს, რომ აქედან განათლებულად წავალ.
- შთაბეჭდილება საოცრად კარგი მოლოდინი უფრო მეტი
- ჩემი მოლოდინები და პირველი კვირა ერთმანეთს დაემთხვეს, იმიტომ რომ უნივერსიტეტში ყველა იყვნენ გულგრელი და მხიარულები
- პირველი კვირა საკმაოდ ინფორმაციული და საინტერესო იყო, შევისწავლეთ სასწავლო პროგრამები და პლატფორმები, ლექტორებმა სილაბუსები გაგვაცნეს. ჩემი მოლოდინი იყო კარგი გარემო დამხვედროდა და იგი გამართლდა, რადგან ძალიან მეგობრული ბავშვები გავიცანით.
- სასწავო წელი დაიწყო ჩვეულებრივად, ძალიან კარგი
- უნივერსიტეტში შექმნილმა სიტუაციამ მოლოდინს გადააჭარბა
- საკმაოდ კარგი
- მეგობრული გარემო, ყურადღება ლექტორების მხირდან
- ძალიან კარგია და სასარგებლო სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში სწავლა
- ჩემი პირველი შთაბეჭდილება იყო კარგი.
- სასიამოვნო იყო გაგაცნოთ ლექტორებთან ძალიან სასიამოვნო იყო, და ძალიან საინტერესო,
- ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო ამ უნივერსიტეტში სწავლა და ლექტორებთან ურთიერთობა
- პირველი კვირა შთაბეჭდილებით სავსე იყო, ყველაფერი ძალიან სასიამოვნო იყო ამ უნივერსიტეტში სწავლობა.
- პირველი კვირა შთაბეჭდილოვანი იყო და სასიამოვნო პირველი შთაბეჭდილები იყო ძალიან კარგი,
- ძალიან სასიამოვნო იყო ლექტორებთან ერთად ურთიერთობა ძალიან მომეწონა ყველაფერი,დიდი სიამოვნებით სწავლობდ
- პირველ კვირის კარგად იყოს ჩემთვის ძალიან საინტერესო და სასიამოვნო გარემო იყო როგორც ახლა . ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და საინტერესო გარემო იყო.
- მომეწონა სწავლის ფორმა მომეწონა ყველაფერი იდეალურია
- დადებითი შთაბეჭდილებები
- დადებითად შევაფასებდი
- ყველაფერმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა
- დადებითი შთაბეჭდილება.
- მოლოდინს გადაჭარბა კარგი გარემო და სწავლის პროგრამაა
- სასიამოვნო და თავისუფალი გარემო რაც მნიშვნელოვანია სწვლისთვის.
- ძალიან კარგი პედაგოგები არიან
- ახალი პედაგოგები, ყველა ჩემთვის კარგი იქნება,

- ყველა საგნები ძალიან საინტერესო და მარტივი იყო ჩემთვის,
- ძალიან მომეწონა
- დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე
- მოლოდინს გადააჭარბა
- ყველაფერი კარგი
- მომეწონა კარგი იყო
- ძალიან კარგი
- უნივერსიტეტი პერსონალი და სტუდენტები
- დადებითი ძალიან კარგი
- პედაგოგებით ძალიან სასიამოვნო შთაბეჯდილობა მქონდა
- ძალიან კარგი სთაბეჭდილება დამრჩაა,
- არ ველოდი ასეთ კარგ სიტუაციას აღფრთოვანებული დავრჩი
- შთამბეჭდავი

დასკვნები

1. მიმდინარე, 2024-2025 სასწავლო წლის პირველკურსელთა წინამდებარე ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევაში გასულ წლებთან (შარშან 116 სტუდენტი) შედარებით ნაკლებმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა (წელს 69 სტუდენტი მონაწილეობდა); კველევაში ჩართული სტუდენტების კმაყოფილების მაჩვენებლები ზოგიერთ საკითხთან მიმართებით პროცენტულად საკმაოდ გაზრდილია, თუმცა რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას.
2. მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები არ გამოკვეთილა, თუმცა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები განიხილავენ დაწვრილებით და უკუკავშირს მოაწვდიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გასატარებელი ღონისძიება:

1. პირველკურსელთა ინსტიტუციური კმაყოფილების კვლევის შედეგები ეცნობოს თითოეული სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს სტუდენტთა ინფორმატიულობის გაზრდის მიზნით;
2. სტუდენტებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ინსტიტუციის გაძლიერებისთვის სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, მათი კმაყოფილება და კმაყოფილების კვლევაში მონაწილეობა.
3. წინამდებარე საკითხებთან დაკავშირებით, რეაგირებისათვის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინფორმაციას მიაწვდის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.
4. ტრადიციულად, გარკვეულ საკითხებზე ჩაღრმავებული ინტერვიუები სტუდენტებთან შედგება რექტორის საათზე.

5. თითოეულ საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა სტუდენტებს გააცნონ კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები და შესაბამისად, უკუკავშირისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგები.